ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშრომელნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 15 1883—1904 15 აგვისტო

უმაღლესი მანიფესტი.

ნებითა ღვთისათა,

ჩვენ, ნიკოლოზ მე-II,

იმპერატორი და თვითმპყრობელი

სრულიად რუსეთისა,

მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

ვუცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ:

ამა ივლისის ოცდა ათსა დღესა უსაყვარლესი მეუღლე ჩვენი, ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, კეთილად განთავისუფლდა ფეხმძიმობისაგან და ეყოლა ვაჟი, რომელსაც სახელად ალექსეი ეწოდა.

მივიღეთ ეს სასიხარულო ამბავი, როგორც კურთხევა ღვთისა, ჩვენზე და იმპერიაზე მოვლენილი, და ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომებთან ერთად მხურვალე ლოცვით ვეეედრებით უფალსა, რათა კეთილად აღსარდოს და წარმატება მიანიჭოს ჩვენს ჰირმშო ძეს, რომელიც მოწოდებულია მემკვიდრედ ღვთის მიერ ჩვენდამი ბოძებულ სამეფოსი და ჩვენის დიდებულის სამსახურისა.

1899 წლის 28 ივნისის მანიფესტით ჩვენ მოუწოდეთ უსაყვარლესსა მმასა ჩვენსა, დიდს

მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს ეოფილიეო ჩვენს მემკვიდრედ ვაჟის დაბადებამდე. ამიერიდან, სახელმწიფო ძირითად კანონების ძალით, ჩვენს შვილს ალექსის ეგუთვნის უმაღლესი წოდება და ტიტული მემკვიდრე ცესარევიჩისა მასთან დაკავშირებულ უფლებებით.

ბოძებულია ჰეტერგოფს იელისის ოცდა ათს დღესა, ქრისტეს დაბადებიდან ათას ცხრაას მეოთხესა, ხოლო მეფობისა ჩვენისასა მეათესა წელსა».

ნამდვილზე მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია **ნიკოლოზ**.

უმაღლესი მანიფესტი.

II.

«წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა.

ვ ხრწნავთ-რა შეურეველად უზენაესს განგების ძალ ჩვენდამო რწმენებულ სახელმწიფოს მშვიდობიანობისა და კეთილ-დღეობის დაცვისა და დამყარებისათვის, ჩვენ დაუვიწყარ წინაპარნთა, კეთილ-სახსოვარ იმპერატორთა—ნიკოლოზ პირველისა, ალექსანდრე მეორისა და ალექსანდრე მესამის—მაგალითის მიხედვით, წმიდა მოვალეობად ვცანით, მივიღოთ ღონისძიებანი განსაკუთრებულ შემთხვევებისათვის, ამიტომ მივიღებთ-რა მსჯდველობაში ჩვენის მემკვიდრის ცესარევიჩის და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის მცირე-წლოვანება: დავადგინეთ, თანასწორად იმპერიის ძირითად კანონებისა ⁂ საიმპერატორო ოჯახის წესებისა, საეოველთაოდ გამოვაცხადოთ შემდეგი: 1-ლი: იმ შემთხვევისათვის, თუ ჩვენ გარდავიცვალეთ იმ დრომდე, სანამ უსაუვარლესი ჩვენი ძე და მემკვიდრე კანონებით იმპერატორებისათვის დანიშნულ სრულ-წლოვანებას მიაღწევდეს, სახელმწიფოსა და მასთან განუეოფელ ჰოლონეთის სამეფოს და ფინლიანდიის დიდ სამთავროს მმართველად მემკვიდრის სრულ-წლოვანებამდის ინიშნება უსაუვარლესი ძმა ჩვენი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე; მე-2. აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენი პირმოკ ძისა ⁂ დანარჩენ შვილებისთვის მზრუნველობა, მათ სრულ-წლოვანებამდე, ეკალება ჩვენს უსაუვარლესს მეუღლეს, სელმწიფე დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს. ამ ჩვენი სურვილის გამოცხადებით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოებდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ჩვენის მემკვიდრის მცირე-წლოვანობის დროს, ჩვენ სასოებით ვატივი ვეცით სახელმწიფოს კანონებს, მოვიშორეთ ეოველივე ეჭვი ამ საგნის შესახებ და ეეეედრებით უზენაესს, რათა შეგვეწიოს განუწყვეტელ მზრუნველობაში ღვთის მიერ ჩვენდამი ბოძებულ სახელმწიფოს კეთილ-დღეობისა, ძლიერებისა და ბედნიერებისათვის.

ბოძებულია ჰეტერგოფს, აგვისტოს პირველსა დღესა, ქრისტეს დაბადებიდან ათას ცხრაას ოთხსა. ხოლო მეფობისა ჩვენისა მეათესა წელსა».

ნამდვილზე მის იმპერატორებით უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

«ნიკოლოზ».

ეროვნული ბიბლიოთეკა

✿ ეკლესია ✿

თავი პირველი.

II.

კანონ-მდებლობა, გამგეობა და სამართალი.

(გაგრძელება*)

ამ სახით, ქრისტეს ეკლესიაში საერო ხელისუფლებისაგან განსხვავებული და დამოუკიდებელი კანონი და ხელის უფლება არსებობს. როცა მორწმუნე ეკლესიაში შედის,—მოვალე ხდება საეკლესიო კანონი აღასრულოს და საეკლესიო ხელისუფლებას დაემორჩილოს. ეკლესიაში თავის ნებაზე ცხოვრება არ შეიძლება; სავალდებულოა ღვთის ნებას ასრულებდე, რომელიც საეკლესიო კანონშია გამოხატული. საეკლესიო კანონის დარღვევისათვის ეკლესიის წევრი პასუხის მგებელი ხდება დგთის სასამსჯავროსა და საეკლესიო სასამართლოს წინაშე. საეკლესიო კანონის მსუბუქი დარღვევა, რომელიც კაცობრიული ბუნების სისუსტეზეა დამოკიდებული, მღვდლის წინ აღსარების თქმის დროს მიეტევება ხოლმე შემცოდეს, უკეთუ უკანასკნელი გულ-წრფელათ აღიარებს თვის შეცდომას და ცრემლით მოსთქვამს მას.[1]) საეკლესიო კანონის უფრო მძიმეთ დარღვევისათვის კი ქრისტიანი დროებით უფლებას ჰკარგავს წმ. საიდუმლო ზიარებაში, საეკლესიო ლოცვებში და საღმრთო წერილის მოსმენაში სხვა წევრებთან ერთათ მონაწილეობა მიიღოს;[2]) ხოლო თუ არ შეინანებს ე. ი. არ ისურვებს ცოდვილ ცხოვრებას და ცრუ სწავლას თავი დაანებოს საეკლესიო საზოგადოებისაგან განიკვეთება და ღვთის სამართალს მიეცემა.[3]) ზოგიერთ შემთხვევაში კრებულის წევრებიც ჰკარგვენ საეკლესიო ერთობის უფლებას,[1]) უმეტეს ნაწილათ კი მათ-მათი საეკლესიო მდგომარეობის განსაკუთრებული უფლებანი ჩამოერთმევათ ხოლმე[2]) ამ რიგათ ეკლესიას აქვს თვისი სამართალი და დასჯის განსაკუთრებული ზომებიც. მაგრამ საეკლესიო სასჯელი სრულიად განსხვავებულია იმ სასჯელთაგან, რომლებიც სახელმწიფოში იხმარება,—იგი მოკლებულია ნივთიერ თვისებას,[3]) ცოდვილის პოლიტიკურსა და სოციალურ მდგომარეობას არ შეეხება და მხოლოდ საეკლესიო მდგომარეობის უფლებათა წართმევაში ან შეზღუდვაში გამოიხატება. საერო სასჯელთაგან იგი თვისი მიზნითაც განსხვავებულია. საზოგადო საეკლესიო სასჯელთა მიზანი გასწორებითია და არა დასჯითი. საეკლესიო სასჯელის უუმაღლესი ზომა, სახელდობრ, ეკლესიისგან განკვეთა—მარტო მაშინ მიესაჯება ხოლმე ცოდვილს, როცა იგი შეუნანებელია და მხოლოდ მანამდის, სანამ არ შეინანებს. შენანებული ცოდვილი ისევ ეკლესიაში მიიღება ⁄ მხოლოდ დროებით არ ეძლევა ნება საეკლესიო მდგომარეობის უფლებებით ისარგებლოს. ზიარებისა და საეკლესიო ლოცვებისგან დროებით განკვეთა, თვის ცოდვებში გამომტყდარსა და შენანებულს, ცოდვილს იმ მიზნით მიესაჯება ხოლმე, რომ სინანულის ნაყოფთა გამოსაჩენათ დრო მიეცეს და ქრისტესა და ეკლესიასთან ღირსეული ერთობისათვის მოემზადოს. დროებითი სასჯელი გასწორებამდის კრებულის წევრთათვისაც არსებობს.[4]) სამღვდელო ღირსების ჩამორთმევა რასაკვირველია დასჯა არის იმ მხრით, რომ სამუდამოთ რჩება; მაგრამ აქაც ძლიერ ცხადათა სჩანს საეკლესიო სასჯელთა გამასწორებლობითი ხასიათი. საეკლესიო კანონებში სამღვდელო ხარისხის ჩამორთმევა ძლიერ ხშირათ დადებულია კანონის უბრალო დარღვევისათვის კი არა, არამედ ცოდვაზე ხელის აუღებლობისათვის და მისი დატოვების უსურველობისათვის.[5]) ქრისტიანობრივი კანონის დარღვევის უბრალო ფაქტის გამო

---

*) იხ. „მწყემსი“ № 11—14, 1904 წ.

1) იაკობ. 5, 16; 1 იოან. 1, 9; 2, 1—2; 2 მარ. 12, 21; Игн. Бог. къ Фил. 8; Tertul De poenit. 2. 6. 7. 8. 9. 11; Пост. ап. 2, 7. 18. 83; 7, 14; ოქროპირი: Слова на разн. случаи. 2, 495. 498 и проч.

2) Правила ап. 9. 10. 12. 24. 31. 43. 48. 52. 56. 66. 72. 73. 84; Пост. ап. 2, 41. 43; и проч.

3) მათ. 18, 17; 1 კორ. 5, 2—13; 16, 22; 1 ტიმ. 1, 20; 2 თეს. 3, 6. 14; ტიტ. 3, 10; 1 იოან. 2, 19; Прав. ап. 51 52; Пост. ап. 2, 8. 17; 6, 18; Tert. Apol. 39; De pudicitia 5; ოქროპირი: Слова на разн. случаи. 2, 325; на 1 кор. 1, 261-264; 268-270, на 2 Солун. 79. 80.

1) Прав. ап. 28—30. 51. 52; Cypr. Epist. IX, XLIX. LXVII по р. пер I, 48. 146-149. 252-264.

2) Прав. ап. 5—7. 11. 20. и проч.

3) ლუკ. 9, 54—56; მათ. 26, 51—53; Прав. ап. 27.

4) Прав. ап. 5. 8. 12. 16. 32. 36. 45—47. 54. 56—59. 72. 73 76.

5) Прав. ап. 5. 15. 42—44. 51—59. 81; ალბათ ამავე საგანს უნდა შეეხებოდეს შემდეგი მუხლებიც: 6. 7. 11. 20. 27. 31. 49. 50. 52—53. 55. 59. 60. 63. 64. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსების ჩამორთმევა მხოლოდ ისეთს შემთხვევაშია დადებული, როცა სასულიერო პირის-მიერ ჩადენილი ცოდვა იმგვარია, რომ საეკლესიო ღირსებას ეწინააღმდეგება და უკეთუ ერის-კაცისგან ყოფილიყო ჩადენილი, კრებულში შესვლას მოუშლიდა.[1]) საეკლესიო სამართლის გადაწყვეტილებათა ძალა მორწმუნეთა თვალში საეკლესიო კანონისა და ხელის-უფლებისადმი პატივის-ცემაზეა დამყარებული, —და ამ სახით ზნეობრივი საფუძველი აქვს. ასე რომ, როცა საქმე ნორმალურათ მიმდინარეობს, ე. ი. როცა ეკლესიის წევრებს ჭეშმარიტად რწამსთ ღმერთი და მის წმინდა ნებას პატივს სცემენ,— საეკლესიო სამართალი, თუმცა არავითარი ნივთიერი საფუძველი არა აქვს, მაინც წარმატებით მოქმედობს და აღწევს თავის მიზანს. ამის დამამტკიცებელ მაგალითს ეკლესიის პირველი სამი საუკუნის ისტორია წარმოადგენს. ბევრი მწვალებლობა და მდელვარება იყო იმ დროს, პატივ-მოყვარე პირთა და მწვალებელთაგან გამოწვეული,[2]) მაგრამ საეკლესიო მთავრობა თვისი ღვთაებრივი ავტორიტეტის ძალით ყოველთვის ახერხებდა თვისი სამწყსო თვის განკარგულებათა და ქრისტეს მცნების მორჩილებაში შეეკავებია, და საეკლესიო მშვიდობის დასაცველათ შესაფერი საშუალება გამოენახა. საეკლესიო ხელის-უფლებას არასოდეს ისეთი ძლიერი პატივის-ცემა არ ჰქონებია, მისი განკარგულებანი და გარდაწყვეტილებანი არასოდეს ისეთის მორჩილებით არ შეუსრულებიათ, როგორც აი ამ დევნულების დროს, როცა მის ერთად-ერთს იმედს მხოლოდ მისივე ღირსების ღვთაებრივი ავტორიტეტი და პიროვნების ზნეობრივი გავლენა წარმოადგენდა. ამ დროებიდან ისტორიას მარტო ერთად-ერთი შემთხვევა ახსოვს, როცა საეკლესიო სამართალს არ დაუმორჩილებენ, და როცა საეკლესიო მთავრობა, თვისი განაჩენის სისრულეში მოსაყვანათ, იძულებული გახდა საერო მთავრობისათვის მიემართა,—ეს იყო შემთხვევა ანტიოქიის ეპისკოპოსის პავლე სამოსატელისა. მაგრამ სამაგიეროთ ამ ეპისკოპოსს სრულიად არა ეცხო-რა ქრისტეს სულისა, არც სარწმუნოებისა და არც ცხოვრების მხრით. მას ქვეყნიური დიდება უყვარდა, უფრო მეტათ ის სურდა, რომ „დუცენარად“ წოდებულიყო, ვინემ ეპისკოპოსად, და საზოგადო მოედანზე გამოსვლის დროს მუდამ შუბის-მტვირთველებს იახლებდა ხოლმე. საეკლესიო შეკრებილებაშიაც ამგვარისავე, ქრისტეს მოწაფეთათვის შეუფერებელ გულ-ზვიადობითა და ფუფუნებით ეჭირა თავი. საერო უფროსების მიხედვით მან თვითონაც კათედრა და მაღალი ტახტი გაიკეთა, კათედრაზე დგომის დროს თეძოზე ხელს იცემდა და ფეხებს აბრაგუნებდა; ვინც ქებას არ ეუბნებოდა და, როგორც წარმოდგენებზე, ხელსახოცს არ უქნევდა, ყველას ჰაიცხავდა და ლანძღავდა; საღმრთო წერილს ისე კი არ ხსნიდა, როგორც ეპისკოპოსს შეშვენის, არამედ როგორც სოფისტები და ორატორები; მოსპო ეკლესიაში ქრისტეს სადიდებელი საგალობლების ხმარება იმ მოსაზრებით, ვითომც იგინი მერმინდელ პირთა ნაწარმოებნი ყოფილიყონ, და იმავე დროს ქალებს უბრძანა ეკლესიაში ღვთის.მსახურების დროს თვით მისივე სადიდებელი საგალობლები ეთქვათ, სადაც იგი ციურ ანგელოზად იყო დასახული; და სხვა.[1]) რა გასაკვირალია, რომ ამისთანა ვეშაპს, საეპისკოპოსო ღირსებით შემოსილს, რომელსაც არაფერი წმიდა არა სწამდა და თვის უმსგავსობას შუბის ძალაზე ამყარებდა, არ ნდომებოდა საეკლესიო სამართალსა და მის განაჩენს დამორჩილებოდა, —იმ სამართალსა და განაჩენს, რომელიც მთლათ ზნეობრივს ავტორიტეტზე იყო დამყარებული. მისი მაგალითი სრულის ურყეველობით ამტკიცებს, რომ საეკლესიო სამართალის ურჩობა მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც ქრისტეს სულისა არა აცხიათ-რა და ეკლესიის მარტო გარეგნობით ეკუთვნიან. ხოლო აქედან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ საეკლესიო სამართალის ეჭვდაუდებელ ავტორიტეტს მარტო მაშინ შეუძლია შესაფერი მნიშვნელობა დაჰკარგოს, როცა ეკლესიის წევრთა უმრავლესობაში სარწმუნოება და ზნეობა დაეცემა, რასაკვირველია, საეკლესიო მთავრობის ჯეროვანი მოქმედების დროს ადგილი არ უნდა ექნეს.

ს. გორგაძე.

(შემდეგი იქნება)

1) Прав. ап. 23. 25. 29. 30. 45. 46.

2) Евсевій, Церк. Ист. 5, 16; 6, 23. 27. 43. 46 7, 5; Cypr. Epist. 9—14; 16—19; 22; 24; 26; 27; 29; 32; 38; 39; XLI—LIII; LV: LXVII; LXVIII; По русск. пер. I, 45—86; 118—128; 129—181; 121—216; 259—274.

1) Евсевій, Церк. Ист. 7, 27. 29. 30.

2) ლუკ. 9, 23—26; 14, 26—27.—

სოფლის სამღვდელოება
⁊
მისი ასავალ-დასავალი.

„ზოგი პირი მარგებელია“.

სხვა მხრივაც გავსინჯოთ ნივთიერი მხარე სამღვდელოებისა. ზოგიერთი ბატონები, საქმის აუწონ დაუწონავათ, პირველად რასაც წამოუბერავს მათი გონება, იმას უკიჟინებენ ყველას, როგორც ნამდვილს ჭეშმარიტებას: მაგ. გაიძახიან და იწერებიან კიდეც, «მღვდლებმა შეგვავიწროვეს», „შეაწუხეს სოფელი“, და სხვა. გავსინჯოთ ეხლა ეს. ეხლა ყველა იმას ღაღადებს, რომ სოფლათ დიდი სიღარიბეა, სოფლის გლეხ-კაცი ძლივს რჩება მჭადითა და ლობიოთი... მართალიცაა. უმეტესი ნაწილი ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ვიცი ისეთი შემთხვევაც, რომ კაცს გადამეტებულად ეჩვენება, თუმცა ნამდვილი ფაქტია: **მჭადი** და **ლობიო** **მშვენიერ** სადილად და ვახშმად მიიღება ბევრთაგან. რა არის ამის მიზეზი? ცოდნა, ხერხი, სწავლა არ მომატებია ჩვენს გლეხ-კაცობას, ისეთი ცოდნა და სწავლა, რომ მას მოეხმაროს მისი ქონების გამრავლების, გაძლიერების საქმეში და ხალხი კი მრავლდება, საკუთრება მიწები მცირდება, მაშ რა სხვა შედეგი მოჰყვება ამას, თუ არა სიღარიბე! გარდა მცირე ნაწილისა, რომელიც ქალაქს შეფარებია და იქიდან იჩენს შემოსავლის წყაროს, ყველა სოფლის მცხოვრებნი გლეხნი მეტს სიღარიბეში არიან. ახლა მითხარით, რა უნდა წაართვა უქონელს, რა უნდა გამოართვა, ვისაც არაფერი გააჩნია? ეს აშკარაა, მაგრამ სიტყვის ბარაქათ მაინც გაიძახიან თავისას ზოგიერთნი: „შეგვავიწროვეს, შეგვჭამეს“... პირ-იქით სულ სხვა დასკვნა უნდა გამოიყვანოს კაცმა გლეხების ეხლანდელი გაჭირვებული მდგომარეობიდგან: რადგანაც გლეხები ღარიბნი, ქონებრივათ დაცემულნი არიან, უეჭველშიდ, მათი სამღვდელოება დამშეულია, ამიტომ რომ მათი საჩუქრებით რჩება და რას აჩუქებს ის, ვისაც თვითონ არა აქვს რა. ვინც კარგად ჩაჰკვირვებია სოფლის მღვდლის ცხოვრებას ის იმაშიაც კი დამემოწმება, რომ სოფლის მღვდლებს უმეტეს ნაწილათ, ხეირიანი საქმელიც კი არ ეშოვება, არამც თუ სხვა ზედ მეტი მოთხოვნილებანი: უმეტეს ნაწილათ მჭადითა და ლობიოთი რჩება,—ან კიდევ გამხმარი ტარანით და დოშ-ფარგით. მაგრამ ამნაირი ცხოვრებაც-კი დასაყვედრია ზოგიერთთაგან—ყველა ეს ნაყოფია გაბოროტებული გულისა და სულისა.

ეს ყველაფერი შინაური ამბავია, საკუთარი დასკვნაა. ეხლა შევხედოთ საქმეს ოფიციალურად—გარეგნულად. რომელი მღვდელია რომ ათასობით ქონდეს შეძენილი მისი სამსახურისაგან, ან სასახლე აეგოს ⁊ ან თვისი სიმდიდრით ვინმე გაეკვირვებიოს. არც უწინდელს დროებაშიდ და არც ეხლანდელს სამღვდელოებაში ქონებრივი სიმდიდრე არ მოიპოვება და არც იქნება შემდეგში. კარგი, თუ გინდ ჩვენი სამღვდელოების გარდა, რომელი სახელმწიფოს სამღვდელოებაა მდიდარი, რომ მთელი წოდებით გამოირჩეოდეს სიმდიდრით საზოგადოდ მცხოვრებლებშიდ. ერთად ერთი ინგლისია, სადაც სამღვდელოება ჯეროვანათ უზრუნველ-ყოფილია ⁊ კიდეც შეიძლება ვსთქვათ (შედარებით სხვა სახელმწიფოს სამღვდელოებასთან) მდიდარიცაა. ეხლა საქართველოშიაც როგორი განსხვავებაა: იმერეთისა და სამეგრელო გურიის სოფლის სამღვდელოება უკიდურესს სიღარიბეს იტანს, შედარებით უფრო შეძლებულია ქართლ-კახეთის სამღვდელოება. სხვა რო არა იყოს რა, ერთი რამ არის სათქმელი: გერმანიაში ისეთი შეძლებული გლეხები არიანო, რომ თამამად შეუძლიანთ ხელმწიფე ისტუმრონ და მიიღონ ჯეროვანათო და ჩვენებურს მღვდელს თამამად არ შეუძლია თვისი მღვდელმთავარი (ეპისკოპოსი) ისტუმროს. სხვა ყველაფრის თქმა შეიძლება სამღვდელოებაზედ, სიმდიდრის ქონება კი არა. არამც თუ სიმდიდრის კიჟინი, არამედ ხშირად შეგვხვედრია ამბები მღვდლების სიღარიბისა და გაჭირვებულ მდგომარეობისა; გაგვიგონია სამდურავი, რომ სიღარიბისა გამო ვერ ახერხებენ ოჯახობას უპატრონონ, შვილები რიგიანათ აღზარდონ და სხვა მოთხოვნილებანი რიგიანათ დაიკმაყოფილონ.

II.

იმისი მაგალითებიც ბევრია, რომ პირველ ხანებში მღვდელი არ ვაჭრობდა, პატიოსნათ, ზრდილობიანათ ექცეოდა სამრევლოს; საჩუქარზედ მადლობას, აშენებას უბარებდა, სიტყვასაც არ შეუ-

*) იხ. „მწყემსი“ № 14, 1904 წ.

ბრუნებდა მასპინძელს, ბოლოს-კი გამოცვალა ტაქტიკა, დაიწყო ვაჭრობა. რა მოხდა? ასე უცბათ რამ შეუცვალა ხასიათი. მოგახსენებთ. სოფლათ მთელი დასია გლეხებისა მღვდელთან ვაჭრობაში გამოქნილი. ისინი ეუბნებიან მასპინძელს, ვითარცა გულ-შემატკივარნი მისი: „მამა მღვდელი არაფერს გეტყვის მაინც, შეაძლიე ხუთი მანეთი და თუ დაგიწუნებს, მერე მოუმატოთ ცოტა.“ თუ ეს მიიღო სიტყვის შეუბრუნებლად, ჰფიქრობენ დიდი ყოფილაო, მერმე იმასაც დაუკლებენ და თუ არაფერს აიღებ იმითაც არ შეიწუხებენ თავს; «მღვდელია ქე აქვს მაინც ყველაფერი». აი, ბატონო, როგორ გახლავთ საქმე.—რადგანაც სამღვდელოებას მთავრობასთან აქვს საქმე, თუ ჯამაგირებს არ აძლევენ ის არ ჰგონიათ იმათ და თუ გინდ სიმშილით კვდებოდეთ თვითონ არ მიიღებენ თვისს თავზედ მზრუნველობას, არამედ მიუთითებენ მთავრობაზე —აი, ისაა თქვენი პატრონი-ბატონი და იმასთან მიიქეცითო. ასე რომ ვაჭრობა მღვდლობის თვისება კი არ ყოფილა, ყოველი სამსახურის ამ გვარი სასყიდლის გაღების შედეგია. მღვდლებმა კი არ შექმნეს ამგვარი ქცევა, არამედ ცხოვრებამ, კაცის ბუნებამ გამოიწვია. ამაშიდაც სასაყვედუროა ის განთლებული ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც შეეხება სამღვდელოების ამ მხარეს, ასახელებს ფაქტებს, უთითებს საზოგადოებას ამგვარს უკულმართობაზედ, მაგრამ იმაზედ კი არ იწუხებს თავს ახსნას, დაასახელოს და გამოარკვიოს მათი მიზეზები.

— მღვდლები ერთ საათში თუმანს, თხუთმეტ მანეთს იღებენ და ეს როგორ იქნებაო, ეს მცარცველობაა, მგლობაოო“.—შე კაი კაცო! ამისთანა საათები წელიწადში შეიძლება ათამდის გამოერიოს, მეტი არა, და იმას რისთვის არ იძახი, ნახევარი წლის სამსახურში ათი-თორმეტი თუმანი ეძლევა ჯამაგირათაო; შენ კი ერთ თვეში ან ორში იღებ ამ ათ-თხუთმეტ თუმანს. ცოტაა ასეთი ადგილები ჩვენს კურთხეულ სახელმწიფოში?! სხვაზედ რა უნდა ვსთქვა, უფრო უვიცს, გაუგებარს როგორ არ უნდა შეუნდოთ, როდესაც ბ-ნი ჯიბილა, ეს „მოწინავე“ პირი ჩვენი საზოგადოებისა, „ცნობის ფურცლის“ სულის ჩამდგმელი, ერთს თავისს ფელეტონში კითხულობს: ეს ჯამაგირები ხომ აქვთ ამ მღვდლებს და დრამები კიდევ რა არისო? ნეტავი როდის დაკანონდა დრამებიო ეს მაცოდინაო?! მ. დეკ. ლამბაშიძე მოგახსენებთ, თუ მიიქცევით მასთან, რომელ წელში იყო სამრევლოთა გაშტატება და დრამის ფულის შემოღება. ეხლა, რადგან შენი შემაწუხებელი კითხვა ავხსენით, ერთი ჩვენც გვითხარი სად მოხდა ასეთი ამბავი, რომ მღვდელმან ერთ აღგბნარზედ თერთმეტი ჯვარისწერა მოასწრო და თერთმეტი თუმანი მანვე ჯიბეში ჩაიწყო. მერე კიდევ ცოცხალია ის მღვდელი? დიაკონი არას ეტყოდა მას, რომ აქედან მისი წილი არ მიეცა და ან მათი საჩივარი მთელს ეპარქიას არ ეცოდინებოდა?. ბ. ჯიბილამ ისიც თუ კი არ იცის რაც მის ახლო ხდება, სხვა რაღა ეცოდინება: შეიძლება ასეთივე ჭორებია სხვაც მისი ნაამბობი. საბუთი ხელთ გვაქვს, რომ ასე ვიფიქროთ.

მ. ნ. ბ.

(გაგრძელება იქნება).

უსუსური მსჯელობა ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებისა მოწანასტრეების და ეკლესიი ცარცვა-გლეჯის გამო.

«ივერიაში» და «ცნობის ფურცელში» ამ უკანასკნელ დროს დაისტამბენ მეტის-მეტად ახირებული შინაარსის სტატიები გელათის მონასტრის გაძარცვის შესახებ. ვბეჭდავთ «ივერიიდან» ერთ ამისთანა ახირებული სტატიის წინააღმდეგ დაბეჭდილ წერილს მათი მეუფების იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისაგან, რომელიც მოთავსებულია «ივერიის» №179-ში. აი ეს წერილი:

«თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ მე-174 ნომერში დაბეჭდილია წერილი გელათის გაძარცვის შესახებ ვიღაცა ს. კ—ძესი, რომელიც სრულებით უსაფუძვლოდ და უსამართლოდ მკიცხავს ტ რაღაცა სამდურავს მდებს. საჭიროა სიმართლის გამოქვეყნება, ამისათვის, იმედია, არ დამიჭერთ ალაგს თქვენს გაზეთის უმახლობელეს ნომერში საპასუხო წერილისათვის.

ს. კ—ძე სხვათა შორის ამბობს: «თურმე ახალის განკარგულებით სიძველეთ მხოლოდ იმათ უჩვენებენ, ვისაც ნებართვა ექნება აღებული. დიაღ, კარგი და მოსაწონი, თუმცა დაგვიანებული, განკარგულება უნებებიათ. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოუჩნდებაო, სწორეთ ამაზეა ნათქვამი. მაგრამ არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ერთი კონტრასტი: უწინ ყველას, ვინ იცის, საიდან მოსულს

ბიჭ-ბუჭებსაც კი უჩვენებდნენ მონასტრის სიმდიდრეს, ახლა კი შორიდან მოსული სტუმარი—ხახა მშრალი გაუშვეს!!.—მოყვანილი სიტყვები თავიდამ ბოლომდე სრული სიცრუე და უტიფრობაა. პირველსავე მისვლაზე გელათის მონასტერში ბეჯითად უბძანე, ვისდამიც ჯერ-არს, რომ ჩემ ნება დაურთველად ძველი ნაშთები სალაროში არავისათვის არ ეჩვენებიათ და ვისაც ჩემი ნებართვა ექნებოდა, იმათთვისაც მხოლოდ უნდა დაენახვებინათ შუშის შკაფში დაწყობილი ნივთები, შკაფის გაღება სასტიკად ჰქონდათ აღკრძალული. ეს განკარგულება ჯეროვანადაც სრულდებოდა: ჩემი ბარათის მიღების შემდეგ გაუღეს სალარო ყ-დ სამღვდელო კირიონს, კნეინა მაჩაბლისას, კნეინა წერეთლისას, ეს გარემოება უნდა მოეხსენებოდეს, თუ მეხსიერება არა მღალატობს, დიდად პატივცემულს თ. აკაკი წერეთელს, ბატონს ალ. ხახანაშვილს, უმაღლესის სასახლის ხუროთმოძღვარს სვინინს, ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მხატვრობის მასწავლებელს კრასნუხას და სხვებსაც მრავალთა, რომლების სახელების ჩამოთვლა, რასაკვირველია, არ შემიძლია. ამ მოკლე დროში დაათვალიერეს გელათის სალაროსიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ და მღვდ. პ. კარბელაშვილმა და მათ შესახებაც წინ-და-წინ სიტყვიერად მქონდა ნათქვამი ბერებისთვის, რომ ყველაფერი ეჩვენებიათ. შესაძლოა, ხანდისხან აღღვევდნენ ამ განკარგულებას, მაგრამ აქედან, ვგონებ, ის დასკვნა არ გამოდის, რომ მხოლოდ ურმის გადაბრუნების შემდეგ დამენახოს გზა და დაგვიანებული განკარგულება მომეხდინოს. რა წესები იყო ჩემამდე, ყველას უჩვენებდნენ თუ არა ძველ ნივთებს, ამისი მე არა ვიცი რა და არც ვსაჭიროებ გაგებას. აი ნამდვილი გმრემოება საქმისა და ვერ გამიგია, რა მოსაზრებით მიუმართავს ს. კ—ძეს სიცრუისთვის და რათ შეუწუნებია თავი ჩემთვის გაკვეთილის მოცემით რაღაცა კონტრასტის შესახებ! «საგონებელი იყო, ბრძანებს კიდევ ს. კ—ძე, რომ ამ უბედურების შემდეგ მაინც ისწავლიდენ ჭკუას ისინი, ვისაც ამ მონასტრის ბედი აბარიათ და დარაჯებს დაუყენებდნენ, მაგრამ ვინ არის პატრონი? მონასტერი ისევ ღვთის ანაბარადაა დაგდებული»!! რჩევისთვის, რომ ჭკუა ვისწავლო, გულწრფელად ვმადლობ დარბაისელ დამრიგებელს, მაგრამ კიდევ იძულებული ვარ გავიმეორო, რომ მოყვანილი სიტყვებიც სიცრუის მხრით ახასიათებენ ს. კ—ძეს. კორესპოდენტს შეუძლია მიბძანდეს ქუთაისის გუბერნატორთან და მისგან პირადათ გაიგოს, როდის და რა ზომები იყო ჩემის მხრით მიღებული, რომ გელათის მონასტერს მისცემოდა უკლებლივი დარაჯი და რითი დასრულდა დღეს ეს ჩემი თხოვნა-მეცადინობა თუ პატრონობა არ გამეწევია მონასტრისთვის, გუბერნატორი ხელს არ დამაფარებს და მაშინ ს. კ—ძემაც ჯვარს მაცვას! ვისაც გელათის მონასტრის დღევანდელი გარემოება კარგად აქვს შესწავლიდი, იმისთვის სრულებით ცხადი და აშკარაა, რომ მონასტერს არა გზით არ შეეძლო, არ შეუძლია და, თუ იგივე პირობები დარჩა, არც მომავალში შეეძლება, ნამეტანი სილარიბის გამო, იყოლიოს დღისით და ღამით ყარაულები. მართალია, ს. კ—ძე ბძანებს „იმდენი სიმდიდრის პატრონს მონასტერს ერთი ხეირიანი ებგური არ ჰყავდა დღისითო“. მაგრამ, ალბად, სიმდიდრედ ამ შემთხვევაში იგი გულისხმობს ძველს ძვირფას ნივთებს და ამ ნივთებს თუმნიანი ოქროები ხომ არ ჰცვიოდათ, რომ მონასტერს ამითი დაეჭირა ებგური და სხვა სახსარი კი, როგორც მოგეხსენებათ, მონასტერს არ მოეპოება.

ს. კ—ძეს საუმჯობესოდ მიაჩნია ძველი ნივთების წაღება მუზეუმში. ბატონი ბძანდებით, წაიღეთ, მაგრამ იქ კი სიმთელით იქნებიან დაცულნი? მოგახსენებთ—არა ბ ამისი მტკიცე საბუთიც ხელთ მიჭირავს.

აღნუსხავს რა დაკარგულ ნივთებს, ს. კ—ძე სწერს: „წაღებული აქვთ სამი თეფში («ერთი მათგანი ბარძიმია $2^1/_4$ გირვანქა სულ წმიდა ოქრო იყო, ძვირფასი ქვებით მორთული»).

ს. კ—ძეს წარმოდგენით, თეფში და ბარძიმი ერთი და იგივეა. ვაი ჩვენ უბედურობას და სარწმუნოების სიბნელეს! კაცი, რომელიც ინტელიგენტისა და ქრისტიანის სახელს ატარებს, იმდენად უვიცია სარწმუნოებისა და გულ გარეცხილი ეკკლესიურ ცხოვრებაზე, რომ ვერ გაურჩევია ერთი მეორისაგან თეფში და ბარძიმი!.. აი სატირალი და საგოდებელი—ეს სარწმუნოებრივი გაველურებაა, რადგანაც ამან, მხოლოდ ამ სარწმუნოებრივის გრძნობის უქონლობამ გახადა შესაძლოდ გელათის სიწმინდეთა შეგინება და არა უებგურობამ! მერწმუნეთ ასეა, ბატონო ს. კ—ძე!»

შემდეგ ნომერში უფრო დაწვრილებით განუმარტებთ ჩვენს მკითხველებს საერო ჟურნალ-გაზეთების შემცდარ მსჯელობას საზოგადოდ საეკკლესიოდ და სასულიერო წოდების საქმეების შესახებ.

ხ ო ლ ე რ ა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ხოლერის გავრცელების ხმა თავ-ზარსა სცემდა მთელს საზოგადოებას, რადგან ყოველივე ბრძოლა ამ სენის წინააღმდეგ უნაყოფო იყო. ხოლერა ვრცელდებოდა ისეთის სისწრაფით, იმდენ მსხვერპლს შეიწირავდა ხოლმე, რომ ხალხის ხსოვნაში ყოველი ხოლერის ეპიდემია დიდხანს რჩებოდა. როგორც შიში ამ სენის წინაშე, ისე წინააღმდეგ ბრძოლის უნაყოფობა ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1883 წლამდის მეცნიერებასაც არ ჰქონდა გამოკვლეული ხოლერის ბუნება და არ იყო შესწავლილი ის ზომები, რომელნიც დღეს მეცნიერებას მიაჩნია საჭიროდ ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მხოლოდ 1883 წელს რობერტ კოხმა, იმ ექსპედიციის ხელმძღვანელმა, რომელიც გერმანიიდან გაგზავნილი იყო ეგვიპტეს ხოლერის დაახლოვებით შესასწავლად, აღმოაჩინა ეგრედ წოდებული სოკოები და ამ რიგად შესაძლებლად გახადა ხოლერის შესწავლა და მის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების განვითარება. რობერტ კოხმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ხოლერით ავადმყოფის განავალში და აგრეთვე პირიდან ამონავალში (ნერწყვში) მუდამ არიან ერთგვარი სოკოები. აი ეს სოკოები სცნო კოხმა მიზეზად ხოლერით ავადმყოფობისა. ამ შესანიშნავ აღმოჩენის შემდეგ მეცნიერული დაკვირვებით და სხვა-და-სხვა ცდით გამოირკვა ბუნება ხოლერისა, გამოირკვა აგრეთვე ისიც, თუ როგორ ვრცელდება ეს სენი და იმის დაგვარად შემუშავდა ზომები ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხოლერა, როგორც შინაური (Ендемическая) ავადმყოფობა, მუდამ არსებობს და არსებობდა ინდოეთში, ორის დიდის მდინარის ხეობაში: განგისა და ბრაჰმაპუტრასი, ისე როგორც ჩვენში ზოგიერთ ადგილას ციებ-ცხელება (Маларія). კავკასიაში პირველად ხოლერა გაჩნდა 1823 წელს. 1830 წ. ეპიდემია ისეთის სიმძლავრით გავრცელდა და იმდენი მსხვერპლი შეიწირა, რომ ეს ხანა ქართველ ხალხში „დიდ ხოლერობის“ ხანად ითვლება. მართლაც მარტო თბილისში 53 დღის განმავლობაში მოკვდა 3000 სული. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იმ დროს ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა იყო 30,000 სული, გამოდის, რომ ყოველ 10 სულში ერთი ხოლერას უმსხვერპლია. მას შემდეგ ყოველ 7—8 წელიწადში ერთხელ ჩნდებოდა ხოლერის ეპიდემია. მხოლოდ 1870 წლიდან 1892 წლამდის ხოლერა ჩვენში არა ყოფილა. 1892 წელს იყო უკანასკნელი ეპიდემია და ეხლაც მოველით უსიამოვნო სტუმრის სპარსეთიდან მობრძანებას.

როდესაც რობერტ კოხმა აღმოაჩინა ხოლერის სოკოები, ყველაზე უწინარეს შემდეგი საკითხი შეიქნა გადასაწყვეტი: ეს სოკოები ანუ ბაქტერიებია ხოლერის სენის გაჩენის მიზეზი, თუ კიდევ არის სხვა რამე? მხოლოდ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ მეცნიერება შეუდგა ბაქტერიების ბუნების შესწავლას. შედეგი დაკვირვებისა იყო: 1. ბაქტერიები, რომელნიც რ. კოხმა აღმოაჩინა, მუდამ ხოლერით ავადმყოფის განავალსა და პირიდან ამონაღებშია; 2. ბაქტერიები ჩნდებიან განავალში მხოლოდ ხოლერის ეპიდემიის დროს; 3. ბაქტერიები არიან ხოლერით ავადმყოფობის ნაწლევებში, ღვიძლსა, ნაღველის ბუშტსა, ტყირპსა, ჰაჰებსა, გულის ფიცრის ძარღვში და სხვაგან. 4. ხოლერის სიძლიერე დამოკიდებულია ბაქტერიების სიმრავლეზე; 5. ბაქტერიების უმრავლესობა იმყოფება წვრილ ნაწლევების ქვედა ნაწილში, სადაც უფრო შესამჩნევი ცვლილებანი ხდება ავადმყოფობის დროს. 6. რობერტ კოხის ლაბორანტს ლაბორატორიაში მუშაობის დროს შემთხვევით შეეყარა ეგ სენი და თან გადაჰყვა; 7. იგივე დაემართა ქალ. ჰამბურგში ექიმს ერგელს (Oergel.), 8. მეცნიერებმა პეტენკოფერმა, ემეკრიხმა და მეჩნიკოვმა განგებ გადაყლაპეს ხოლერის სოკოები და გახდნენ ავად; 9. ქალაქ კალკუტის ახლო დაგუბებულ წყალში რ. კოხმა აღმოაჩინა ხოლერის სოკოები, მაშინ როდესაც გარშემო სოფლებში არც ერთი კაცი არ გამხდარა ავად ხოლერით; მცხოვრებნი, რომელნიც იმ წყალს სვამდნენ, ავად ხდებოდნენ.

ზემოდ ჩამოთვლილმა ფაქტებმა და მრავალმა სხვა დაკვირვებამ სამუდამოდ გამოარკვიეს, რომ ხოლერის ერთად-ერთი მიზეზი ის სოკოა, რომელიც რ. კოხმა აღმოაჩინა. შემდეგი ბოოლოგიური თვისებანი ახასიათებენ ხოლერის სოკოებს ანუ ბაქტერიებს: სიგრძე $^1/_2$—$^2/_3$ ჭლექის ბაქტერიებისა აქვს, მხოლოდ უფრო მომსხო, უფრო მსუქანია. მის წარმოსადგენად, თუ რა სიდიდე აქვს ხოლერის ბა-

ქტერიას, ფნდა გახსოვდეთ, რომ იგი მხოლოდ მაშინ სჩანს შეუიარაღებელის თვალით, როცა გადიდებულ იქნება ათასჯერ. ყველა ბაქტერია სწორი არ არის ჩხირივით, არამედ ზოგი რკალივით მოღუნულია. ბაქტერია, ხელოვნურად აღზრდილი ხორცის წვენზე ან სხვა რამე მაგვარ საკვებზე, შესამჩნევის სიჩქარით მოძრაობს რამდენიმე ბეწვის საშუალებით, რომელიც ერთ-ერთ თავში აბია. როცა მას წყალი და ორგანიული ნივთიერებანი აქვს, ბაქტერია ძლიერ მრავლობს, მაგ. დასველებულ ტილოზე, ან შუაზე გაჭრილ ახალ კარტოფილზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბაქტერია გახმა, იგი კვდება. მათი ხელოვნურად აღზრდა ადვილია ხორცის წვენსა, სისხლის შრატსა, რძესა და სხვა ამგვარ სითხეზე, თუკი სითხე მჟავე არ იქნება. თუ გარშემო ჰავა 16°-ზე (ცელსისა) ნაკლები იქნება, ბაქტერიებს ზრდა და გამრავლება აღარ შეუძლიანთ; თუმცა არც ისე იღუპებიან, რომ სათანადო პირობებში კვლავ არ იზარდონ, 8° სიცხე სამუდამოდ ჰკლავს ბაქტერიებს. ასეთია ბიოლოგიური თვისებანი ხოლერის ბაქტერიებისა.

საინტერესოა, რა გზით და რა პირობების გამოისობით ჩნდება ხოლერის სოკო ადამიანის სხეულში და იწვევს ავადმყოფობას? ეჭვ გარეშეა დღეს, რომ ხოლერის გავრცელება შეიძლება მხოლოდ სენის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანით. ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ განავალი ხოლერით ავადმყოფისა განსაკუთრებით ხელს უწყობს ხოლერის გავრცელებას, რადგან მასში აუარებელი ბაქტერიაა. დაკვირვებამ გვასწავლა რომ, უკეთუ ხოლერით ავადმყოფის განავალი არ გახმა, ხოლერის სოკო ძლიერად მრავლობს და ემატება ძალა. ხოლერის სოკო, ავადმყოფ სხეულიდან გამოსული, ჰპოულობს ბევრ შესაფერ პირობებს თავის აღზრდისა და გავრცელებისათვის. დასველებულ სარეცხზე, წყალში, რომელშიაც საკმარისად მოიძებნება ორგანიული ნივთიერება, სხვა-და-სხვა გვარ საჭმელში, ნოტიო მიწის ნიადაგში, ყველგან მრავლდება იგი; შემდეგ მრავალ გზით შეუძლიან იპოვოს ბინა ადამიანის სხეულში. თვითონ ადამიანს გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეში ხოლერის სოკო და ავრცელებს. ყველა ზევით აღნიშნული მოსაზრებანი მტკიცდება შემდეგის უტყუარის ფაქტებით: 1. ხოლერა ვრცელდება შარა გზისა და რკინის გზის გაყოლებაზე და მხოლოდ იმავე სიჩქარით, რა სიჩქარითაც შეუძლიან კაცს ერთი ადგილიდან მეორე ადგილს გადავიდეს; 2. უფრო ხშირად ისინი ხდებიან ავად, ვისაც რამე დამოკიდებულება აქვს ან ავადმყოფთან ან იმის ნივთებთან (მაგ., მრეცხავები ან ავადმყოფის ყურის მგდებელი); 3. ხოლერა ხშირად ვრცელდება მდინარის გასწვრივ; 4. ხოლერა განსაკუთრებით მძვინვარებს იქ, სადაც ბევრი, დაძველებული, დამპალი ხილია; 5. მოწამლული წყალი ხელს ძლიერ უწყობს ხოლერის გავრცელებას: ამისთანა შემთხვევა იყო ქ. ჰამბურგში.

მარტო ბაქტერიების გადაყლაპვა არ არის საკმაო, რომ ადამიანი ავად გახდეს. ბევრნი ჰყლაპავენ ბაქტერიებს ხოლერის ეპიდემიის დროს, მაგრამ ან არ ხდებიან ავად, ან არადა იხდიან ავადმყოფობას ძლიერ ადვილად. ეს მოვლენა ერთის მხრივ აიხსნება იმით, რომ თვითონ სხეულს აქვს შეძლება წინაღუდგეს ხოლერის ავადმყოფობას მაშინაც-კი, როცა ბაქტერია უკვე სხეულში ბინადრობს, და მეორეს მხრივ საჭიროა, ბაქტერია სტომაქიდან ნაწლავებში გავიდეს დაუზიანებლად, რომ მას შეეძლოს ზრდა და ხოლერის საწამლავების შემუშავება. ეს კი ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რადგან სტომაქში არ არის ერთგვარი სიმჟავე, რომელიც ჰკლავს ბაქტერიას ან ისე აუძლურებს, რომ მრავლება აღარ შეუძლიან. ადვილი მისახვედრია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ სტომაქს ადამიანის ჯანმრთელობისათვის კერძოდ ხოლერის ეპიდემიის დროს, მაგრამ საკმარისია მხოლოდ ერთი ბაქტერია გავიდეს დაუზიანებლად ნაწლავებში, რომ 3—4 დღის შემდეგ მილიარდამდის გამრავლდეს და გამოიწვიოს ესა თუ ის ფორმა ხოლერით ავადმყოფობისა.

როგორც უკვე ზევით მოვიხსენიეთ, ყველა ერთნაირად არა ხდება ავად, ეს მოვლენა დამოკიდებულია სავსებით იმაზე, თუ როგორ არის ამა თუ იმ პირის სხეულში ფიზიკურად მომზადებული ავადმყოფობასთან საბრძოლველად. ზოგი სრულებით არა ხდება ავად, თუმცა შეიძლება ხოლერობის დროს ბევრი ბაქტერიაც ჩაყლაპოს; ზოგი ძლიერ სუბუქად იტანს ავადმყოფობას, და ზოგიც რამდენისამე საათის განმავლობაში ეთხოვება წუთისოფელს. სამი ტიპიური ფორმაა ხოლერით ავადმყოფობისა და ამათ ავწერთ, მკითხველს წარმოდგენა ჰქონდეს, თუ რაში გამოიხატება ხოლერით ავადმყოფობა.

(დასასრული იქნება).

წერილი ათონიდან.

ათონის მთაწმიდის კანონი ანუ წესდებულება მონასტრებისა.

ათონის მთაწმიდა არა ნახევარი კუნძული ეკუთნის მაკედონიას. სიგრძით არის ოთხმოცი ვერსი, და სიგანით ოცდაათი. ეს ადგილი მიჩენილია ძველ დროიდგანვე, ბერების სამყოფად, მეფეების, პატრიახების და ღირსთა მამათა მიერ. ეს მთაწმიდა არის გაყოფილი ოც ნაწილად ე. ი. ოცი მონასტერია თითოეულ მონასტერს თვისი ნაწილი აქვს; როგორც მებატონე თითოეული მონასტერი მის კუთნებულ ადგილზედ ვისაც უნდა იმას დაუყენებს ქვეშევრდომად და მეხარკეთ მონასტრისა. ვითარცა ძველი დროის ბატონს, თითოეულს მონასტერს სრული უფლება აქვს მის ქვეშევრდომზე... ამ ოცი მონასტრების ადგილზედ არიან მრავალნი მოღვაწენი ბერნი დასახლებულნი, ზოგს ეკკლესიანი სახლები უდგათ, ზოგს უეკკლესიო. ვისაც ეკკლესიით სახლები აქვსთ იმათ ეძახიან კელიას და რომელსაც უეკკლესიო—იმას ეძახიან კალიბას.

ამ მთაწმიდის მონასტრებს აქვს შესაკრებელი შუა ადგილზედ. აქ არის საკუთარი მონასტერი პორტისა, ე. ი., კარისა, აქავე არის პატარა დუქნები ბერებისა. ამიტომ ამ ადგილს ეწოდება კარეა.

ამ კარეაში არის ყოველი ოცი მონასტრიდგან შეკრებილი თითო გამორჩეული ბერი-არხიმანდრიტი. სახელად ეძახიან—ათონის მთაწმიდის წმიდა სინოდს: იქავე ახლო არის თათრის ნაჩალნიკი (კაიმაკანი). ათონის მთაწმიდის სინოდი განიხილავს ყოველივე ბერების საჩივარს და რასაც ეს კრება გადაწყვეტს იმის დარღვევა არავის არ შეუძლია; არც პატრიახს. ვინაიდგან ძველ დროიდგან ყოველ მეფეს მართმადიდებელს და სხვათა ხელი მოწერილი აქვთ წმიდა მთის წესდებაზე, რომ ბერული წესი ეგოს უცვალებულად. მართლაც მთაწმიდის მონასტრებში სრულდება სრული ტიბიკონი ვითარცა დასწერეს წმიდათა მამათა, რომელთა აღსრულებითა მრავალნი მიემთხვივნენ დიდსა სიწმიდესა ქრისტეს წინაშე. ძველ დროებაში იყვნენ ურიცხვნი ბერები პალესტინაში, სირიაში, არაბეთში, ეგვიპტეში, თებაიდში, მიტრიის მთეებზედ და სხვაგან სადაცა ბრწყინვიდნენ წმიდანი მამანი მნათობნი ყოვლისა სოფლისანი. ეხლა მხოლოდ მთაწმიდაში დავინახავთ. აგარიანთა და სხვათა და სხვათა სულიერ და ხორციელთა მტერთა შორის. ეს უბიწო ბერების წესი ბერძნებთა შორის არის დაცული. გავიძახით ხმა მაღლად: ბერძნები არ არიან კარგიო? ვის უკავია დღეს კვერთხი მამათ მთავრისა, ვინ ებრძვის დღე და ღამ მართლმადიდებელი სარწმუნოების შებღალვას, ვინ დაიცვა აქამომდე წმინდათა ცხოველს მყოფელი საფლავი? ვინ მოიკლა უსამართლოდ! ესენი იყვნენ სულ ბერძენთა ნათესავნი. ვინ იყო ქვეყნის მპყრობელი კეისარი, ვინ უფლობდა სტამბოლს და წმიდა სოფიას, ბერძენთა ნათესავი. თუმცაღა დაეცა ბერძნები ხილულად მიეცა რამდენიმე ნაწილი აგარიანთა ქვეშევრდომობას; მაგრამ გონებით კი არ არიან დაცემულნი, საღმრთო სჯულის და წესის დაცვას იმ გვარად ცდილობენ, რომ არ უნდათ ერთი იოტა ე. ი. პაწაწინა გადაეცილონ. რომ ყოფილიყვნენ გონებით სუსტნი აქამდის ნახევარი გათათრებული და გაფრანგებულნი იქნებოდენ. ათონის მთაწმიდის მონასტრის ქვეშევრდომნი კელიოტნი ყოველივე მონასტრის მოთხოვნილებას ასრულებენ და ბეგარას უხთიან მონასტერს თითოეულ წელს ათ ათ მანეთს კაცის თავზედ. რამდენი პირნიც არიან ჩაწერილნი ნასყიდობის წერილში. კელიაში შეუძლია მხოლოდ სამი ბერი ჩაიწეროს ნასყიდობის წერილში. რამდენიც უნდა იმდენი იყოლიოს ბერები ნება აქვს. ერთი მოკვდა დაწერილი—ბერი, მონასტერი მეორეს ჩაწერს ასე რიგიანად მიდის ეს წესი.

ამ ათონის მთაწმიდის უცვალებელ ბერულ საცხოვრებელს კანონს მხოლოდ ჩვენ ქართველთა ბერები აღარ ვემორჩილებით. მთაწმიდის ტიბიკონი ჩვენ ვუარვყავთ ტ დავტკეპნეთ ვითარცა უხმარი, რომლისათვის ვართ დასჯილნი ღვთისაგან ტ კაცთაგანაც.

აი როგორ, მოგახსენებთ: 1868 წელს ათონის მთაწმიდაზედ ევერიის მონასტრიდგან იყიდეს ბესარიონ ნოდიამ, ბენედიქტე ბარკალაიამ და სხვათა კელია ე. ი. ეკკლესის სახლები. ევერიის მონასტრის ბამბმან მაშინვე აღმოუჩინეს დიდი შემწეობა ვითარცა ქართველთა. მამა ბესარიონ ნოდიამ და ბენედიქტე ბარკალაიამ მიმართეს თხოვნით იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს, მეგრელიის—ტარასის გურიის—ეპისკოპოზს ვაბრიელს და გამოითხოვეს ფულის შეკრების ნება რათა ათონის მთაზედ გაგაშენონ ქართველთა სავანე ე. ი. დაარსონ პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტერი სადაც შეეძლოსთ ცხოვრება ყოველთა ქართველთა ბერთა. დაიწყეს მართლად შენება. ჩვენდა საუბედუროდ წინამძღოლნი ჩვენნი ყოფილან ბრმები ‡ ჩაგვყარეს უფსკრულში აი როგორ. ივერიის მონასტერს ეკონა ჩვენ ქართველნი ბერები მოვედით საცხოვნებლად ‡ მორჩილად ქრისტეს სახელისათვის. ის კი-არა ჩვენმა წინამძღვარმან განუცხადა ბერძნის ბერებს დაცალეთ ივერიის ¦მონასტერიო. აღენთო ცეცხლი გაუქრობელი ვიდრე აქამომდე. ეხლა სურსთ ძალით აიღონ ივერიის მონასტერი მამა ბენედიქტეს წყალობით. ერთიმეორეს უნდა დავეხიოთ ვითარცა ურჯულონი. არ ვიცი რა ვთქვა- მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ქართველი ათონის ბერებს, რომ ყოლოდათ რიგიანი გონიერი წინამძღვარი დღეს ათონის ივერიის მონასტერში იქნებოდა ორმოცი-სამოცი კაცი 1868 წლიდან. სიმდაბლით, ვითარცა ქრისტემ გვასწავა, რომ გვეთხოვა ბევრი რამ გაგვიკეთდებოდა. მაგრამ ამპარტავნებითა ჩვენითა დავეკეთ: რად დავტოვეთ სოფლები? და უდაბნოში, რა შევიძინეთ? სოფელში შიმშილით ვიხოცებოდით აფხაზეთის ტყეებში დავძვრებოდით და ციხეებში სულს ვითქვამდით. ათი ათასობით ფულები შეეკრიბეთ, ამ ათონის საწყალი ბერების სახელით. ისინი გავდენეთ და გავიძახით ივერიის მონასტერი ჩაგვაბარეთო... ვის ჩაბარონ? ათიოდე საწყალ ბერებს? რომელთა ქართულიც აღარ იციან? დაგვავიწყდა რომ ამას წინად ხელში გვქონდა დავით გარეჯის მონასტერი და ჩვენი უთაოსნობისაგან ველარ მოუარეთ და გამოგვდევნეს დიდის შეურაცხებით. როგორ შეგვიძლია ივერიის მონასტრის მოვლა დღეს რომელსაც უნდა სამასი-ოთხასი კაცი. ჯერ უნდა განგვემზადა კაცები უბრძოლველად მერე გვეთხოვა; მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ბერები ვინც ვარგოდა ყველა გაიდევნა, ეხლა მამა წინამძღვარი ბ ბრძნებს ათონის მთაწმიდის იერუსალიმის მონასტრები რუსეთს უნდა ჩავაბაროო. რა უსაფუძლოა ეს ლაპარაკი. სულთანმა იცის რომ წმიდა წმიდათა, წმიდა სოფია და სხვანი წმიდანი ადგილნი ქრისტიანებისა იყო. ტახტი ბერძნის მეფისა იყო. რუსეთმა იცის საქართველოს მისი მეფე, და პატრიახი ყადა. სომხეთმა და საფრანგეთმან იციან, რომ საფლავი ქრისტესი მართლმადიდებელთა იყო, ეგრეთვე ბერძნებთაც იციან რომ საქართველოს მონასტრები არიან აქ; მაგრამ—ქვეყანას ვინ ძლევს? —სიმდაბლით მოსიარულე.

მამა ბენედიკტეს სურს ფულები შეიძინოს კიდევ. არ ვიცით რაც აქვს ვის დარჩება? უკეთუ ათი ათასი ბერები ემორჩილებიან მთაწმიდის კანონს ჩვენ ვინ ვართ? ვისით ვეყოფჩობთ. ღმერთმან ინებოს, მაგრამ მამა ბენედიქტე თვითონ მდიდრდება და მონასტერი ვის დარჩება არავინ იცის.

მ. ა. ქ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ფლოტის ბრძოლა, 28 იგლისს. 28 ივლისს დილით რუსის ესკადრა ადმირალ ვიტგეფტის უფროსობით პორტ-არტურიდან გავიდა და ვლადივასტოკისაკენ გაემართა. ადმირალ ვიტგეფტსა ჰყავდა: ჯავშნიანი გემები „ცესარევიჩ“-ი, „რეტვიზან“-ი, „პობედა“, «სევასტოპოლ»-ი, „პერესვეტ“-ი და „პოლტავა“, პირველ რანგის კრეისერები «ასკოლდ», „დიანა“ და «პალადა», მეორე რანგის კრეისერი «ნოვიკ»-ი და 8 ნაღმიანი გემი. რუსის ესკადრა დილის 7 საათზე გავიდა, 2 საათს ნაღმების ძებნას მოუნდა და 9 საათზე სამხრეთისაკენ გაემართა. პორტ-არტურთან იაპონელებს 11 კრეისერი და 17 ნაღმიანი გემი ედგათ. იაპონელებმა უკან დაიხიეს და ნაშუადღევის 1 საათზე რუსის ესკადრა ადმირალ ტოგოს ესკადრასთან მიიყვანეს. ტოგოს ფლოტი თითქმის ერთი-ორად ძლიერი იყო რუსის ფლოტზე, ამიტომ იაპონიის ფლოტი დაედევნა რუსის ფლოტს. რუსის ესკადრა კილვატერის რიგზე გამძკრივებული (წეროებივით, ერთი-მეორის შემდეგ) მიდიოდა. წინ ალბად ადმირალის გემი „ცესარევიჩ“-ი და კრეისერები მიდიოდნენ, „ნოვიკ“-ი და ნაღმიანი გემები ან წინ ან გვერდზე იდგებოდნენ. დანარჩენი ჯავშნიანი გემები ალბად უკან მისდევდნენ. როგორც ადმირალ მატუსევიჩის მოხსენებიდან სჩანს, ბრძოლა 1 საათზე დაიწყო. 40 წამის ბრძოლის შემდეგ რუსის ესკადრა შანდუნისაკენ გაემართა, მაგრამ ადმირალი ტოგო საღამოს 5 საათზე ისევ მოეწია რუსის ესკადრას. გაიმართა გამწვავებული ბრძოლა. ამ ბრძოლის დროს პატარა ზარბაზნებს გარდა, 355 დიდი მძიმე საზღვაო ზარბაზანი სჭექდა რამდენსამე საათს. რუსებს ესკადრის უფროსი ადმირალი ვიტგეფტი მოუკლეს და გემები ძლიერ დაუზიანეს.

იაპონელებმა, ეტყობა, შუაზედ გაარღვიეს რუსის ესკადრა. „ცესარევიჩ“-ი, „ასკოლდ“-ი, „ნოვიკ“-ი, ნაღმიანი გემები და იქნება «პალადა»-ც წინ მოექცნენ და სამხრეთისაკენ გაემართნენ; ჯავშნიანი გემები «რეტვიზან»-ი, «პობედა», «პოლტავა», «სევასტოპოლ»ი და «პერესვეტ»-ი და კრეისერი «დიანა» უკან დარჩნენ ბ როგორც სჩანს, ადმირალ თავად უხტომსკის უფროსობით პორტ-არტურისაკენ გაემართნენ. იაპონელები თან დაედევნენ რუსის გემებს. მალე დაღამდა. ადმირალ ტოგოს ბრძანებით ნაღმიანმა გემებმა იერიში მიიტანეს რუსის გემებზე... «ცესარევიჩ»-ი ვლადივოსტოკისაკენ გაემართა, მაგრამ კაპიტანმა მალე შეატყო, რომ დაზიანებული გემი დიდ მანძილს ვერ გაივლიდა, სამხრეთისაკენ, გერმანიის კოლონიისაკენ გაემართა და მეორე დღეს, საღამოს 9 საათზე ცინდაოს პორტში მივიდა. კრეისერი «ნოვიკ»-ი და ნაღმიანი გემები «ბეზშუმნი», „ბეზპოშადნი“ და «ბეზსტრაშნი»-ც იქ მივიდნენ. «ნოვიკ»-მა ქვა-ნახშირი დაუდო და 24 საათის შემდეგ შანხაისაკენ წავიდა, იქიდანაც კანონიერ ვადაზე გავიდა და როგორც ამბობენ, ვლადივოსტოკისკენ გასწიაო. კრეისერი «ასკოლდ»-ი კონტრ-ადმირალ რეიცენშტეინის უფროსობით და ნაღმიანი გემი «გროზოვოი» შანხაიში მივიდნენ; «ასკოლდ»-ი დაზიანებული ყოფილა და დოკში შესულა შესაკეთებლად, «გროზოვოი»-კი რუსის იარაღ აყრილ კანონირ გემ „მანჯურ“-ის გვერდზე დამდგარა... ნაღმიანი გემი «ბურნი» შანდუნის ახლო კლდეს დასჯახებია; ლეიტენანტ ტირკოვს «ბურნი» აუფეთქებია, თავის მეზღვაურებით ვეიხაეიში მისულა და იქ ინგლისის ბაირაღს შეჰფარებია (ვეიხაეიი ინგლისის სამფლობელოა). ნაღმიანი გემი „რეშიტელნი“ ნეიტრალურ პორტში ჩიფუში შესულა, იაპონელები შეჰყოლიან თანა და ბუქსირით ელიოტის კუნძულებისაკენ (ლიაოდუნის ნახევარკუნძულისაკენ) წაუყვანიათ. მაგრამ იქნება «რეშიტელნი» 28 ივლისის ბრძოლას არ დასწრებოდეს; „რეშიტელნის“ უფროსი ლეიტენანტი როშჩაკოვსკი სწერდა თავის მოხსენებაში; პორტ-არტურიდან 29 ივლისს გამოველ პორტის უფროსის ადმირალ გრიგოროვიჩის ბრძანებითიო...

ცინდაოში „ცესარევიჩ“-სა და სამ ნაღმიან გემს, როგორც ვიცით, გერმანელებმა იარაღი აჰყარეს; ამბობენ კრეისერი «ასკოლდ»-სა და ნაღმიან გემ «გროზოვოი»-საც იარაღს აჰყრიან შანხაიშიო. ასე რომ ეს გემები და იმათი მეზღვაურები ომის გათავებამდე მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ ომში.

***

იაპონელმა პარლამენტიორმა 3 აგვისტოს, დილის $10^1/_2$ საათზე, პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარის შტაბის უფროსს წერილი ჩააბარა. წერილის შინაარსი შემდეგი იყო: 1. ჩვენის იმპერატორის კაცთ-მოყვარულის სურვილის თანახმად ყველა ქალსა და ბავშვს, არა უმეტეს 16 წლისას, მღვდლებს, დიპლომატიურ კორპუსის წევრებს და ნეიტრალურ სახელმწიფოთა ჯარისა და ფლოტის აფიცრებს ნება ეძლევათ პორტ-არტურიდან გამოვიდნენ. 2. ამის პასუხი უნდა ჩაგვბარდეს 4 აგვისტოს დილის 10 საათზე შუაშინდიან 500 მეტრის მანძილზე, ჩრდილოეთით. 3. ვინც ამ პირთაგან პორტ-არტურიდან წამოსვლას მოინდომებს, თეთრის დროშით ხსენებულ ადგილას უნდა მოვიდეს 4 აგვისტოს ნაშუადღევის 2 საათამდე. 4. ჩვენი ქვეითა ჯარის რაზმი ამავე ადგილას მოვა თეთრის დროშით და პორტ-არტურიდან გამოსულ ხალხს მოუცდის. 5. ყველა წამსვლელს ნება აქვს ბარგი წამოიღოს თანა; თუ საჭიროდ დავინახავთ ამ ბარგს გავშინჯავთ. 6. წიგნებისა, წერილებისა და ომის თაობაზე შედგენილ დოკუმენტების პორტ-არტურიდან წამოღება არ შეიძლება. 7. პორტ-არტურიდან გამოსულ ხალხს სრულ მფარველობას გაუწევთ და დალნამდე ჯარს გავაყოლებთ. 8. ამის პასუხი მოკლე უნდა იყოს: ან «ჰო», ან „არა“; ჩამოთვლილ პირობათა შეცვლა შეუძლებელია. («ბ. ვ.»).

გერმანიისა, საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოთა აგენტები თავიანთ მთავრობათა ბძანებით პორტ-არტურიდან გამოვიდნენ. გერმანიის აგენტებისათვის თითონ იმპერატორ ვილჰგემს მიუწერია ბძანება რომელიც იაპონელ პარლამენტიორს გადაუცია პორტ-არტურში. («ბ. ვ.»).

შანჰაიში ფიქრობენ, რომ ინგლისის კონსულის დაჟინებითი თხოვნისა გამო, „ასკოლდ“-სა და „გროზოვოი“-ს იარაღს აჰყრიანო. რუსეთის საზღვაო სამინისტრომ მიწერილობა გაუგზავნა კრეისერ «დიანას», რომელსაც საიგონში აჰყრიან იარაღს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

** ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი სტავროპოლის სემინარიის ინსპექტორის თანაშემწისა ტრიფონ ჯაფარიძისაგან: ᲗᲐ. Რ.! ᲡᲐᲯᲔᲠᲝᲓ ᲒᲠᲐᲪᲮ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲝᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲪᲐᲒᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲘᲜᲘᲡ ᲢᲠᲘᲤᲝᲜ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ: ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲓᲔᲑᲐ ᲔᲒᲖᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ 23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲔᲑᲐ 26. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲘᲗᲝᲒᲜᲘᲡᲐ ᲐᲓᲐᲠ ᲛᲘᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲠᲪ ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲔᲒᲐ. ᲐᲒᲜᲝᲛᲝᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲝᲛᲝᲗ, ᲛᲝᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲐᲠᲨᲜᲘᲚᲓᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲒᲖᲐᲚᲓᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲨᲔᲒᲪᲓᲔᲑᲘᲡᲐ. ᲨᲐᲠᲨᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲛᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲬᲝᲠᲓᲐ ᲛᲗᲘᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲘᲒᲒᲘᲐᲜᲐ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲓᲔᲑᲐ ᲔᲒᲖᲐᲛᲔᲑᲘᲡ 1 ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ: 1) ᲬᲔᲠᲘᲗᲘᲐ—ᲡᲐᲢᲔᲥᲕᲘᲔᲠᲔᲑᲨᲘ, 2) ᲖᲔᲑᲐᲠᲘᲐ—ᲙᲐᲢᲔᲮᲘᲖᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲨᲘ ᲡᲚᲐᲕᲘᲜᲣᲠᲘᲜᲘᲡ.

** კონტრ-ადმირალის მატუსევიჩის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 30 ივლისს: «ᲣᲥᲕᲔᲕᲠᲓᲝᲛᲘᲚᲘᲡᲐᲓ ᲛᲝᲒᲕᲐᲮᲡᲜᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ, ᲒᲐᲗᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲐᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲞᲝᲠᲢ-ᲐᲠᲗᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲕᲗ-ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ. ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜᲘ ᲒᲛᲘ, ᲙᲠᲔᲘᲡᲔᲠᲔᲑᲘ «ᲐᲡᲐᲮᲘ», «ᲛᲘᲙᲐᲖᲐ», «ᲤᲣᲯᲘ», «ᲘᲝᲨᲘᲛᲐ», ᲓᲐ «ᲨᲘᲙᲘᲨᲘᲛᲐ» ᲓᲐ ᲙᲠᲔᲘᲡᲔᲠᲔᲑᲘ «ᲜᲘᲡᲘᲜᲘ» ᲓᲐ «ᲙᲐᲡᲣᲒᲐ»; ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲐᲖᲛᲨᲘ: ᲙᲠᲔᲘᲡᲔᲠᲔᲑᲘ «ᲘᲐᲙᲣᲛᲐ», «ᲙᲐᲡᲐᲒᲘ», «ᲩᲘᲢᲝᲖᲐ» ᲓᲐ «ᲢᲐᲙᲐᲡᲐᲒᲝ»; ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲠᲐᲖᲛᲨᲘ: ᲙᲠᲔᲘᲡᲔᲠᲔᲑᲘ «ᲐᲙᲘᲪᲣᲨᲘᲛᲐ», «ᲘᲫᲣᲛᲐ», «ᲛᲐᲫᲘᲨᲘᲛᲐ», «ᲘᲫᲣᲙᲘᲨᲘᲛᲐ» ᲓᲐ «ᲑᲐᲨᲘᲢᲐᲓᲝ», ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜᲘ ᲒᲛᲘ «ᲩᲘᲜ-ᲘᲔᲜᲘ» ᲓᲐ ᲝᲪᲓᲐ ᲐᲗ ᲜᲐᲚᲛᲘᲐᲜ ᲒᲔᲛᲐᲛᲓᲔ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲪᲔᲚᲝᲑᲓᲐ, ᲛᲢᲠᲘᲡ ᲒᲛᲗᲐ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲕᲔᲕᲐᲡ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡ ᲜᲐᲚᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲒᲖᲐᲖᲔ, ᲜᲐᲚᲛᲔᲑᲡ ᲐᲬᲧᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐᲪ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ. ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ, 40 ᲬᲣᲗᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲐᲛ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲜᲢᲣᲜᲒᲘᲡᲙᲔᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ. ᲢᲠᲔᲠᲘ ᲗᲐᲜ-ᲫᲗᲐᲜ ᲒᲕᲘᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲮᲣᲗ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ. ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲒᲐᲡᲢᲐᲜᲐ. ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲭᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲐ ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜ ᲒᲛᲘᲡ «ᲪᲔᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩ»-ᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲛᲐ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲤᲣᲫᲔᲑᲣᲚ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔ «ᲪᲔᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩ»-ᲘᲡ. 40 ᲬᲣᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ „ᲪᲔᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩᲘ“ ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲐ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲜᲔ, ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲛᲝ ᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲜᲐᲗ. ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲗᲐᲕ. ᲣᲮᲗᲝᲛᲡᲙᲘ, ᲮᲝᲚᲝᲛ ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜ ᲒᲛᲘᲡ «ᲪᲔᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩ»-ᲘᲡᲘᲡᲐᲜ— ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲐᲤᲘᲪᲔᲠᲘ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲩᲐᲛᲝᲑᲜᲔᲚᲓᲐ, „ᲪᲔᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩ“-ᲛᲐ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲨᲔᲡᲫᲚᲝ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ, ᲛᲝᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲐᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘ-ᲕᲝᲡᲢᲝᲩᲝᲙᲘᲡᲙᲔᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ. ᲚᲐᲛᲔ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲜᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ ᲘᲠᲘᲨᲘ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲔᲡ „ᲪᲔᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩ“-ᲖᲔ. ᲒᲐᲗᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲨᲔᲜᲢᲣᲜᲒᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ, ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲔᲡ „ᲪᲔᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩᲘ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲒᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲐᲮᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲩᲝᲙᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲕᲚᲐᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲓᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲔᲛᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲙᲘᲐᲝ-ᲩᲐᲝᲨᲘ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ ᲨᲔᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲚᲐᲓ. ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲙᲚᲣᲚ ᲘᲧᲝ ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲘ ᲕᲘᲢᲒᲔᲒᲤᲢ, ᲡᲐᲤᲚᲐᲒᲛᲜᲝ ᲨᲢᲣᲠᲛᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲠᲘᲔᲕᲘ, ᲤᲚᲐᲒ-ᲐᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲔᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲨᲢᲣᲠᲛᲐᲜᲘ ᲓᲠᲐᲒᲘᲩᲔᲕᲘᲩᲘ. ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲭᲠᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲙᲔᲪᲚᲘᲜᲘᲙᲘ. ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲤᲚᲐᲒ-ᲐᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲙᲔᲓᲠᲝᲕᲘ, ᲙᲣᲨᲜᲘᲜᲘᲙᲝᲕᲘ, ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜ ᲒᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ, ᲨᲣᲛᲝᲕᲘ, ᲜᲔᲜᲘᲣᲙᲝᲕᲘ, ᲞᲘᲚᲙᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲝᲜᲢᲘᲔᲕᲘ. ᲛᲝᲙᲚᲣᲚ ᲓᲐ ᲓᲐᲭᲠᲘᲚ ᲛᲐᲢᲠᲝᲡᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲯᲔᲠ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ. ᲡᲐᲚᲛᲝᲗᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ ᲙᲘᲐᲝ-ᲩᲐᲝᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲒᲒᲮᲓᲔᲜᲓᲔᲜ ᲙᲠᲔᲘᲡᲔᲠᲘ «ᲜᲝᲕᲘᲪ»-Ი ᲓᲐ ᲜᲐᲚᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲛᲘ „ᲑᲔᲮᲨᲘᲜᲘᲗ“. ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ ᲛᲝᲕᲐᲮᲡᲔᲜᲝ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲓᲜᲔᲜ».

** ᲙᲠᲔᲘᲡᲔᲠᲘ „ᲐᲡᲙᲝᲚᲓ“-Ი ᲕᲣᲨᲣᲜᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲐᲛ ᲒᲔᲛᲡ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲙᲐᲛᲚᲘ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲣᲚᲘ. ᲙᲝᲜᲢᲠ-ᲜᲐᲚᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲛᲘ „ᲒᲠᲝᲖᲝᲕᲘᲩᲘ“ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲨᲘᲜᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ. ᲐᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲣᲡᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲬᲠᲔ ᲒᲐᲐᲠᲓᲕᲘᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲗ-ᲘᲥᲔᲗ ᲒᲐᲘᲤᲜᲔᲗᲔᲜᲝ. „ᲐᲡᲙᲝᲚᲓ“-Ი ᲓᲐ „ᲒᲠᲝᲖᲝᲕᲘᲩᲘ“ 31 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲥᲐ. „ᲐᲡᲙᲝᲚᲓ“-Ი ᲗᲮᲝᲚᲚᲝᲑᲡ, ᲜᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲪᲔᲡ ᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲓᲐᲕᲠᲩ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲓᲒᲝᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐᲜᲝ.

** („ᲕᲝᲚᲒᲘᲡ ᲡᲐᲐᲒ.“). ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ. ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲘ ᲢᲝᲒᲝ ᲘᲢᲧᲝᲛᲘᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲐ 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲞᲝᲠᲢ-ᲐᲠᲗᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐ. ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ

ფლოტი თავს დაეცა რუსეთის ესკადრას პორტ-არ-ტურიდან 25 მილის სიშორეზე, სამხრეთ აღმოსავ-ლეთით; რუსეთის ესკადრა აღმოსავლეთისაკენ მი-ბრუნდა და იაპონიის ფლოტი უკან დაედევნა. ცხარე ბრძოლა გაიმართა ნაშუადღევის 1-ლ საათი-დან და გაგრძელდა მზის ჩასვლამდე. შემდეგში რუ-სების ზარბაზნების სროლა შესამჩნევად შესუსტდა; იმათი საომარი წეს-რიგი დაირღვა და გემები ერთმა-ნეთში აირივნენ. „ასკოლდ“-მა, „ნოვიკ“-მა, „ცე-სარევიჩ“-მა, „პალადა“-მ და რამდენიმე კონტრ-ნაღმიანმა გემმა თავს უშველეს და სამხრეთისაკენ გაიქცნენ. დანარჩენმა გემებმა უკან დაიწიეს; ღამე მათზე იერიში მიიტანეს იაპონიის ნაღმიანმა გემებმა და რუსეთის უკან დაწეული გემები, ალბათ, ისევ პორტ-არტურის ნავთსადგურში შევიდნენ. იაპონიის ფლოტს თვალსაჩინო ზარალი არ უნახავს; მოკლულ-თა და დაჭრილთა რიცხვი 170 კაცი უნდა იყოს.

მიკადომ უბრძანა მარშალ ოიამას ნება მისცეს ქალებს, სასულიერო პირებს, ვაჭრებსა და სანეიტ-რალო სახელმწიფოების სადიპლომატო წარმომად-გენლებს, დასტოვონ პორტ-არტური; უბრძანა აგრეთვე მფარველობა გაუწიოს ხსენებულ პირთ. ოიამამ ნება მიიღო ამასთანავე, ხსენებულთა გარდა, პორტ-არტური დაატოვებინოს მშვიდობიან მცხოვ-რებთაც, რათა მათ მონაწილეობა აღარ მიიღონ ბრძოლაში.

* * * მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ალექსი ნიკოლოზის ძე დაინიშნა შეფად ფინლიან-დიის ლეიბ-გვარდიისა, ლიტოვის მე-51 და აღმო-სავლეთ-ციმბირის მე-12 პოლკებისა; აგრეთვე ჩარი-ცხულ იქმნა ყველა იმ პოლკებსა და გვარდიას ნაწილებში, რომლების შეფად ხელმწიფე იმპერატო-რი ბრძანდება, აგრეთვე კავალერგარდის, კირასირთა ლეიბ-გვარდიის, ულანთა ლეიბ-გვარდიის და გრე-ნადერთა ერევნის მე-13 პოლკებში.—ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული დაინი-შნა შეფად ალექსანდრიის დრაგუნთა მე-15 პოლკისა. —ბიულეტენი: «ხელმწიფე დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს ღამე კარგად ეძინა. ტემპერატუ-რა 36,9; მაჯა—78. თვით-გრძნობიერება მშვენიერი აქვს. მაღალ-ახლად-შობილი ჯანმრთელად არის.

* * * ხელმწიფე იმპერატორის უდიდებულესობის ბრძანებით, 30 ივლისს გარეშე საქმეთა მინისტრმა დაავალა რუსეთის ელჩს პარიზში სთხოვოს საფრანგე-თის მთავრობას, რომ რესპუბლიკის წარმომადგენელს-ტოკიოში მიენდოს, რუსეთის მთავრობის მხრით ენერგიული პროტესტი გამოუცხადოს იაპონიის მთავრობას, როგორც ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევისა, ისე საერთაშორისო უფლების პრინ-ციპების შებღალვის გამო, რაც გამოიხატა ჩიფუში რუსეთის გემზე თავდასხმით; ამასთანავე გამოუცხა-დოს იაპონიის მთავრობას, რომ ნეიტრალიტეტის ასეთს დარღვევას შესაძლებელია მეტად სახიფათო შედეგი მოჰყვეს.

* * * ხმა არის, რომ იაპონიის ჯარმა ანშანჯა-ნიდან უკან დაიწია, სამხრეთისაკენ. ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ იაპონელებმა, როგორც ამბობენ, მიმშველი ჯარი გაგზავნეს პორტ-არტურისაკენ. გუშინ, ანშანჯანში, სამხრეთიდგან ზარბაზნების ხმა ისმოდა; ამბობენ, რომ სიმუჩენისკენ წინ წაწეულ რუსის ჯარს ბრძოლა მოუხდა იაპონელებთან და ამათ უკან დაიხიესო.

* * * ვოლფის სააგენტო ტოკიოდან ოფიციალუ-რად იუწყება. ჩიფუდან 29 ივლისს მოსულის და-პეშით იტყობინებიან, რომ რუსის ორი ნაღმიანი გემი ხმელეთს გამოირიყა ვეი-ხაი-ვეიდან აღმოსავ-ლეთით 20 მილის მანძილზე.

* * * სახელმწიფო დეპარტანენტი აცხადებს: არ შეგვიძლია ჩინეთსა, იაპონიას, ან რუსეთს ძალა დავატანოთ, რომ უთუოდ შეასრულონ სახელმწი-ფოთა შორის დადგენილებანი და შეთანხმება იმ ადგილების შესახებ, რომელიც საომარ ასპარეზედაა დანიშნული. შეერთებულ შტატებს მხოლოდ ზნე-ობრივი ზედ-გავლენა შეუძლია იხმაროს შეთანხმების დასაცველად.

სახელმწიფო სეკრეტარმა გეიმ გამოაცხადა, რომ ამერიკას და ოსმალეთს შუა ინცინდენტის გამო პორტამ სრული თანხმობა გამოუცხადა ამერიკის შეერთებულ შტატების ყოველსავე მოთხოვნილება-ზე. ინცინდენტი დასრულდა.

* * * ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა, 5 აგვისტოს, მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სახელო-ბაზე შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა საიმპე-რატორო კარის მინისტრს: „ტფილისის ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებამ 4 აგვისტოს გადაიხადა პარაკლისი მისს იმპერატორებით უმაღლესობის ახლად დაბადებულ მემკვიდრე ცესარევიჩისა და

დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძისა და მთელის სამეფო სახლეულობის დღეგრძელობისათვის და ამასთან დაადგინა: 1. გამოეცხადოს მისს იმპერატორებით უდიდებულესობას ტფილისის მცხოვრებთა მხრივ უქვეშევრდომილესი გრძნობანი ერთგულებისა და სიყვარულისა; 2. მისი იმპერატორებით უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის დაბადების აღსანიშნავად ხელ-მეორედ აღიძრას შუამდგომლობა, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას პოლიტეხნიკუმი, რომელსაც ეწოდოს სახელი მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსი ნიკოლოზის ძისა; პოლიტეხნიკუმის დაარსებისათვის საჭირო თანხის გამოსაძებნად და ამ საქმის შესამუშავებლად ამორჩეულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც სეკტემბერში საბჭოს უნდა წარმოუდგინოს თავისი მოხსენება და 3. ეპატიოს ქალაქის მცხოვრებთ დასაფასებლისა და სხვა გადასახადების დარჩენილი ფული, სულ 20,000 მანეთამდე. ვაცნობებ ყოველივე ამას თქვენ მაღალ აღმატებულებას და გთხოვთ უქვეშევრდომილესად მოახსენოთ მისს იმპერატორებით უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს ნიკოლოზ მე-II ალექსანდრეს ძეს".

*** ვარშავიდან სწერენ გაზ. „ს.-პეტ. ვედ."-ს. ერთმა ადგილობრივმა მექარხნემ განცხადება დაბეჭდა, რომლითაც იწვევდა მუშებს თავის ქარხანაში სამუშაოდ. იმ დღესვე უსაქმოდ დარჩენილი მრავალი მუშა მისულა მასთან და ისე გამწვავებულა მეტოქეობა მუშათა შორის, რომ ბევრს გამოუცხადებია, დღეში 12 კაპ. ქირა მოგვეცით, ოღონდ რამე სამუშაო მოგვეცითო.

*** უმწ. სინოდმა შემდეგის განკარგულებით მიმართა რუსეთის ეპარქიებს: 1) თხოვნა იმ პირთა, რომელთაც იმრუშეს და ამის გამო გაეყარნენ მეუღლეთ და ხელ-ახლად დაქორწინების ნებას ითხოვენ, უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს ადგილობრივმა საეპარქიო მთავრობამ. 2) ამგვარის თხოვნის წარდგენა შეუძლია მხოლოდ იმ გაყრილ მეუღლეს, რომელმაც, არსებულ საეკკლესიო კანონთა თანახმად, გადაიხადა 7 წლის ეპიტიმია. ამ ვადის შემცირება შეუძლია ეპარქიის გამგე ეპისკოპოზს იმ შემთხვევაში, თუ მრუში მეუღლე დამტკიცებს, რომ გულ-წრფელად მოინანია თავისი ცოდვა, ვადის შემცირებამ ორ წელიწადს არ უნდა გადააცილოს. 3) ხელახლად დაქორწინების ნება მხოლოდ მაშინ მიეცემა გაყრილ მეუღლეს, როცა იგი წარადგენს ადგილობრივ ბლაღოჩინისა ან კონსისტორისაგან დამოწმებულ საბუთს იმის შესახებ, რომ ამა და ამ მღვდლის ზედამხედველობის ქვეშ გამოიარა 7 წლის ან შემცირებულ ვადის ეპიტიმია და აგრეთვე პირს უწმ. ხინოდის დადგენილებისას მეუღლეთა გაყრის შესახებ.

*** გამოცხადებულია ახალი წესები იზის შესახებ, თუ როგორ უნდა მიეცესთ სამშობლოში დროებით ან სამუდამოდ დაბრუნების ნება იმ პირთ, რომელნიც ცუდი ყოფაქცევის გამო განძევებულ იქმნენ სასოფლო ყრილობათა დადგენილებით. დროებით დაბრუნების მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს იმ გუბერნიის უფროსს, სადაც ამ ჟამად ცხოვრობს. გუბერნატორი შეეკითხება იმ გუბერნიის უფროსს, საიდანაც განძევებულია მთხოვნელი და შემდეგ გადასწყვეტს საქმეს. დაბრუნების ნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემენ მთხოვნელს, თუ იგი კარგად იქცეოდა ახალ ადგილზე და თუ იმის მიღებაზე თანხმობას გამოაცხადებს სასოფლო ან ვოლოსტის (საზოგადოების) ყრილობის უმრავლესობა. სამშობლოში მუდმივ ცხოვრების ნებას მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ მისცემენ იქ დაბრუნებულ მთხოვნელს, თუ ამ ხნის განმავლობაში კარგად იქცეოდა და თუ იმის მიღებაზე თანახმა გახდება სასოფლო საზოგადოება.

*** ჩიფუდან იუწყება („რეიტ. საგ."). 8 აგვისტოს ღამე ლიაოტეშანიდან მოსულნი ამბობენ, რომ იაპონელებმა ბოლოს მოახერხეს და აიღეს იტშანი და კიდევ ერთი სიმაგრე, რომელიც აგებული ჰქონდა რუსებს იტშანიდან სამხრეთ-დასავლეთით ერთის კილომეტრის მანძილზეო. იაპონელებმა უკან დაახვევინეს რუსებს სამხედრო-სავარჯიშო მიდორიდან და დაანგრის ორი სიმაგრე ციხი შიდა სიმაგრეების აღმოსავლეთ წრეში. თვით პორტ-არტურში თითქმის ყველა შენობა დაზიანებულია. იერიშის დროს იაპონელების მცირე მარცხის მიზეზად სთვლიან სიმაგრეებიდან ატეხილს საშინელს სროლას და დიდძალის ნაღმის აფეთქებას.

*** გამოიცა უმაღლესი მანიფესტი მემკვიდრის დაბადების გამო, რომელითაც სხვა-ჭ-სხვა მოწყალება ენიჭება ხალხს. შემდეგ ნომერში იქნება დაბეჭდილი ეს მანიფესტი.

განცხადება.

რჩევა ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოებისა, „შრომა“ ამით უცხადებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ საზოგადოების მიერ აღძრულია სადაც ჯერ არს შუა მდგომლობა რომ მან გახსნას ეკენისთვიდან ამა 1904 წლისა ქალაქ ქუთაისში ქალთა სამეურნეო სკოლა მეოჯახობისა შემდეგის უფლებით:

1) დაარსდეს ხუთი წლის სამოსწავლო კურსი.

2) სკოლაში მიიღებიან ქალიშვილები დაბადებიდან არა ნაკლებ 11 წლისა, აგრეთვე ქალებიც.

3) სკოლაში შეისწავლიან პრაკტიკულათ და თეორეთიკულათ შემდეგს დარგს მეურნეობისას:

ა) მეაბრეშუმეობას.

ბ) აბრეშუმის თესლის გარჩევას.

გ) ფართლეულობის ქსოვას საქსლეებზედ.

დ) მზარეულობას.

ე) ჭრა-კერვას.

ვ) ჩულქის ქსოვას და ხელსაქმობას მაშინებზე.

ზ) რძის ხელობას.

თ) მებოსტნეობას.

ი) მეფუტკრეობას,

და ია) ფრინველთ გაშენებას.

4) სწავლის კურსი პირველად იქნება ორ-კლასიანი ნორმალური სკოლის პროგრამმით, შემდეგში კი დიდათ გაფართოვდება.

5) ყოველ წლიურ გარდასახადი დადგენილია:

ა) სწავლის უფლების—20 მან.

ბ) პანსიონერკებზე: 1) თავის ტანისამოსით—100 მანეთი და 2) სკოლის ტანისამოსით 130 მან., რომელიც უნდა გადახდილ იქნეს: სწავლის ფული, ნახევარი წლის სკოლაში შესვლის თანავე და მეორე ნახევარი იანვრის თვეში სამოსწავლო წლისა, პანსიონერკების-კი სამ წილათ: ერთი წილი სკოლაში შესვლის თანავე, მეორე ქრისტესშობის თვეში და მესამე მარტში სამოსწავლო წლისა.

თხოვნები უნდა იქნეს მიმართულნი რჩევის სახელზე და მირთმეულნი თავმჯდომარის ამხანაგის **ნ. პ. ქიქოძისადმი**; მის საკუთარ სახლში ქალაქ ქუთაისს ჯაიანის შესახვევში, ლევაშოვის ქუჩისაც მომავალ მარიამობის თვემდი და შემდეგ კი სკოლის კანცელარიაში.

შენიშვნა: სკოლასთან იქნება გახსნილი ცალკე სპეციალური განყოფილება მეოჯახეობის რომელიმე დარგის შესასწავლათ, რომლის სწავლის ფასში უნდა შეურიგდენ სკოლის უფროსს.

თავმჯდომარე რჩევისა კნ. მ. გ. ჩერქეზიშვილისა.

თავმჯდომარეს ამხანაგი ნ. ბ. ქიქოძისა.

წევრები რჩევისა
1) **კნ. ს. ს. დადეშკელიანი.**
2) **ს. ს. ი. ნიჟარაძე.**
3) **ს. გ. კემულარია.**

ხაზინადარი რჩევისა ს. ბ. ლორთქიფანიძე.

მდივანი რჩევისა მ. ო. ვარდოსანიძე.

ყვირილაში გალობის მასწავლებელი სერგეი ჯინჯველაძეული ასწავლის ქართულს საეკლესიო და საერო გალობას ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბინა: დეკ. დ. ღამბაშიძის სახლი—სტამბის გვერდით.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: უმაღლესი მანიფესტები—ეკლესია, თარგ. ს. გორგაძისა.—სოფლის სამღვდელოება და მისი ასავალ-დასავალი, მღ. ბ.—უსუსური მსჯელობა ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებისა მონასტრების და ეკლესიის ცარცვა-გლეჯის გამო.—ხოლერა.—წერილი ათონიდან, მ. ი. ქ.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები, განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 16 Августа *1904 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.